



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ”

აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის
ავტონომიურ რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

“06” ივნისი “ 2019 წელი
N 34/36

ვგზ: N: 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის სამინისტრო

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული
(ნაერთი) ანგარიშგების ფინანსური აუდიტის
ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და შესაბამისად სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურ მუშაობას, რაც დააჩქარებს ქვეყნის განვითარებას.

საჯარო აუდიტის პროცესი, გამოცემული ანგარიშები და რეკომენდაციები ეხმარება პარლამენტს ობიექტური, საიმედო ინფორმაციის საფუძველზე განახორციელოს ეფექტური ზედამხედველობა მთავრობაზე, რომლის ვალდებულებაა გააუმჯობესოს სახელმწიფო სერვისები ხალხისთვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული მიგნებების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციებით, ეხმარება საჯარო ინსტიტუტებს, მიმართონ ძალისხმევა ნაკლოვანებების პრევენციაზე და მათ ხელთ არსებული რესურსები გამოიყენონ პროდუქტიულად, კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისათვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიაჩნია, რომ აუდიტის ობიექტების მხრიდან დროული და ღია კომუნიკაცია ხელშემწყობი ფაქტორია საჯარო მმართველობის პროდუქტიულობის ზრდისა და ამ პროცესში მიზნების მიღწევისთვის.

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	4
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	7
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	8
	2. სხვა გარემოებები	11
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	15
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	17
	საკონტაქტო ინფორმაცია	21

ტერმინები და შემოკლებები

აფხაზეთის ა/რ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;

დებულება – საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1998 წლის 6 თებერვალს N70 ბრძანებით დამტკიცებული „დებულება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო;

სას – სახელმწიფო აუდიტის სამსახური;

სსზასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი;

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ფინანსური ანგარიშგება – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ


აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპენტეციის ფარგლებში. ის საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით, სხვა ნორმატიული აქტებისა და სამინისტროს დებულების საფუძველზე, თავისი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას.

სამინისტროს სამოქმედო არეალი მოიცავს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებს, უზრუნველყოფს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის, აფხაზეთის კულტურული ფასეულობების (მატერიალური და არამატერიალური ძეგლები) დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში ერთიანი პოლიტიკის გატარებას.

სამინისტრო აძლიერებს და ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლებისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის ძალისხმევას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და ახორციელებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერას.

სამინისტრო შედგება 10 სტრუქტურული ქვედანაყოფისა და 2 ტერიტორიული ორგანოსაგან. მისი მმართველობის სფეროში შედის 6 საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

დიაგრამა N1: სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურა



ცხრილი N1: სამინისტროს 2018 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარი)¹

	დამტკიცებული ბიუჯეტი (1)	დაზუსტებული ბიუჯეტი (2)	საკასო ხარჯი (3)	დარიცხული ხარჯი (4)	სხვაობა დაზუსტ. დამტკიც. (5)	შესრულება % (3/2)
სულ:	3,316,000.00	3,908,840.00	3,871,316.00	4,083,299.00	592,840.00	99.04
ხარჯები						
მათ შორის:	3,306,000.00	3,789,814.00	3,752,956.91	4,083,299.41	483,814.00	99.03
შრომის ანაზღაურება	713,560.00	716,730.00	710,978.33	710,978.33	3,170.00	99.20
საქონელი და მომსახურება	286,130.00	458,270.00	456,520.56	471,981.56	172,140	99.62
სუბსიდიები	1,725,070.00	1,992,771.00	1,989,292.35	2,134,893.01	267,701	99.83
გრანტები	-	46,224.00	43,079.40	257,684.54 ²	46,224	93.20
სოციალური უზრუნველყოფა	280,800.00	287,200.00	280,030.00	280,030.00	6,400	97.50
სხვა ხარჯები	300,440.00	288,619.00	273,056.27	227,731.97	-11,821	94.61
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,000.00	119,026.00	118,358.94	-	-	-

სამინისტროს საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს, მოიცავს რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულების პროგრამული კოდით (06 00) დაფინანსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებს და წარმოდგენილია სამინისტროს აპარატის, ორი ტერიტორიული ერთეულის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ექვსი საჯარო სსიპ-ის ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდაციით. სამინისტროს კონსოლიდირებულ (ნაერთ) ანგარიშგებაში მოექცა აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციის – სსიპ – სულიერების და კულტურის ცენტრის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება სამინისტროსთვის მინიჭებული პროგრამული კლასიფიკაციის კოდით სამინისტროს, როგორც მხარჯავი დაწესებულების, მიერ.

¹ ცხრილის მონაცემების წყარო:

ა. ზაზინის ამონაწერი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო – (საბიუჯეტო კოდი: 06 00) 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (სვეტი: 1, 2, 3).

ბ. სამინისტროს 2018 წლის ბალანსის დანართი N2 (სვეტი 4).

² მათ შორის: არაფულადი სახით – 214,605.14 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივის გასვლა.

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (პროგრამული კოდი: 06 00) კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ დანართებს,³ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

³ ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N364.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 კონსოლიდაციის პროცესი

სამინისტროს აპარატის მიერ „მიმდინარე - გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ(ებ)-ს“ - 2.6.3. სახაზინო კოდით სხვადასხვა დროს 13 საგადასახადო დავალებით ხუთი კონტროლირებადი ერთეულის ანგარიშზე გადარიცხულია სულ 37,714.40 ლარი.

სამინისტროს აპარატის ანგარიშგებაში ბიუჯეტიდან თანხის მიღება აღიარებულია საოპერაციო შემოსავალში, როგორც ბიუჯეტიდან გრანტის სახით მიღებული დაფინანსება და ამ თანხის კონტროლირებადი ერთეულებისთვის გადარიცხვა მიკუთვნებულია მიმდინარე გრანტის ხარჯების მუხლს. ამავდროულად, სსიპ-ის მიერ მათ ხაზინის ანგარიშზე თანხების ჩარიცხვა აღრიცხულია, როგორც ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი და ხარჯები მიკუთვნებულია ეკონომიკური საქმიანობით გაწეული ხარჯების შესაბამის მუხლებს.

იმის გამო, რომ კონსოლიდაციის პროცესის დროს არ არის ელიმინირებული სამინისტროს შიგნით განხორციელებული ოპერაციები, კონსოლიდირებულ (ნაერთ) ანგარიშგებაში ერთი და იგივე შემოსავლები და ხარჯები არასწორად (ორჯერ) არის ასახული: ერთხელ – როგორც სამინისტროს აპარატისთვის გრანტების მუხლით საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსება „ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების ანგარიშში“ და „წმინდა ღირებულების შესახებ ანგარიშში“ და მეორედ – კონტროლირებადი ერთეულებისთვის – „არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშში“.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 37,714.40 ლარით არასწორადაა გაზრდილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების – „არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშში“ (დანართი N4) საოპერაციო შემოსავლები და საოპერაციო ხარჯები და ამავდროულად დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის (წესის) მოთხოვნები.⁴

1.2 არაფინანსური აქტივები

) სსიპ - კ. გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ფინანსურ ანგარიშგებაში აფასების შედეგად არაფინანსური აქტივების ზრდა ნაცვლად არასაოპერაციო შემოსავლებისა, არასწორად აღირიცხა როგორც გრანტებით არაფინანსური აქტივების მიღება. რის გამო, ბალანსის დანართში – „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, გრანტებით არაფინანსური აქტივების მიღება წარმოდგენილია 1,009,028.08 ლარით გაზრდილი ოდენობით, ხოლო არასაოპერაციო შემოსავლებში არაფინანსური აქტივების მიღება – 1,010,673.08 ლარით შემცირებული ოდენობით. გარდა ამისა, სსიპ - კ. გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ფინანსურ ანგარიშგებაში 1,645.00 ლარით არასწორად იქნა ასახული (შემცირებული) საქონელი და მომსახურებით არაფინანსური აქტივების გასვლა.

) გალის რაიონის რესურსცენტრის ფინანსური ანგარიშგების ბალანსის დანართებში: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და „ანგარიში არაფინანსური

⁴ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 9; სსპას - 6 „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“, პუნქტი 43.

აქტივების მიღება-გასვლის შესახებ – „გრანტების“ მუხლით განხორციელდა 211,923.88 ლარის არაფინანსური აქტივების მიღება, ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლზე – ჯამში 174,463.27 ლარის არაფინანსური აქტივების გადაცემა. გარდა აღნიშნულისა, „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ საბალანსო მუხლზე არ დაფიქსირებულა 35,492.00 ლარის სპორტული ინვენტარის ნაშთი, რომელიც სამინისტრომ რესურსცენტრს გადასცა 2018 წლის ბოლოს, ხოლო რესურსცენტრიდან სკოლებს – 2019 წლის მარტში. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული აქტივები უნდა აღრიცხულიყო ნაშთად. ამრიგად, ბუღალტრული აღრიცხვის პროცესში არასათანადო კონტროლის გამო, ინფორმაცია 211,923.88 ლარის არაფინანსური აქტივების მიღებასთან და 174,463.27 ლარის არაფინანსური აქტივების და 35,492.00 ლარის სპორტული ინვენტარის გადაცემასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იყო არასრულად (არასწორად).

ზემოთ აღწერილ საბუღალტრო აღრიცხვაში დაშვებული შეცდომების, აგრეთვე სამინისტროს და მისი კონტროლირებადი ერთეულების ხელმძღვანელობების მხრიდან არასათანადო კონტროლის გამო, დაირღვა ინსტრუქციის⁵ მოთხოვნები და დებულების⁶ აუცილებელი პრინციპები. კერძოდ, სამინისტროს კონსოლიდირებულ და სსიპ – კ. გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ფინანსურ ანგარიშგებებში 1,009,028.08 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივის აფასება წარდგენილია არასწორად, გალის რაიონის რესურსცენტრის ფინანსური ანგარიშგებაში ინფორმაცია 211,923.88 ლარის არაფინანსური აქტივების მიღებასთან და 174,463.27 ლარის არაფინანსური აქტივების გასვლასთან დაკავშირებით გამოტოვებულია, ხოლო სამინისტროს კონსოლიდირებულ და გალის რაიონის რესურსცენტრის ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური ფასეულობების ნაშთები 35,492.00 ლარის ღირებულებით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არასრულად არის წარმოდგენილი.

1.3 სოციალური უზრუნველყოფა

სამინისტროს აპარატის მიერ 8 შემთხვევაში, დროებითი შრომისუნარობის დროს, თანამშრომლებზე, ნაცვლად საბიუჯეტო კლასიფიკაციის „სოციალური დახმარების“ მუხლით „ფულადი ფორმით გაწეული დახმარებით ვალდებულებისა“, დარიცხულია „თანამდებობრივი სარგოს“ სახაზინო მუხლით „შტატით მომუშავეთა ხელფასები“ და გაცემულია სრულად, სულ 5,324.8 ლარი. ბუღალტრულ აღრიცხვაში დაშვებული შეცდომისა და სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელობის მხრიდან არასათანადო კონტროლის გამო, 5,324.8 ლარი გაცემულია არამართებული საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სახაზინო მუხლით. ზემოაღწერილი შეცდომის გამო, კონსოლიდირებულ და სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართში – „ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ინფორმაცია ხარჯების მუხლების შესახებ წარმოდგენილია არასწორად: 5,324.80 ლარით გაზრდილია მუხლი „ხელფასები ფულადი ფორმით“ და იმავე თანხით შემცირებულია მუხლი „სოციალური დახმარება“.

⁵ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლი 38.

⁶ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1998 წლის 6 თებერვალს N70 ბრძანებით დამტკიცებული „დებულება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ მუხლი 29.

1.4 აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა

დროებით ოკუპირებული ტერიტორიაზე განთავსებული გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში 166 ბენეფიციარზე გაიხარჯა 274.08 ათასი ლარი. ბენეფიციარების უზრუნველყოფა წარმოებდა ყოველკვარტლური ფინანსური დამხარების სახით, რომლის ოდენობა განსაზღვრული იყო ქვეპროგრამით. ბენეფიციართა სია განისაზღვრა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ბენეფიციართა სიაში ან/და გასაცემი სახსრების ოდენობაში ნებისმიერი ცვლილება განხორციელდა ასევე გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წერილობით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ბენეფიციარებს ქვეპროგრამით განსაზღვრულ ფინანსურ დახმარებას სამინისტრო ურიცხავდა ბენეფიციართა ქართულ საბანკო სივრცეში გახსნილ ანგარიშებზე. აუდიტის პროცესში ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ამის თაობაზე. ჩვენ მიერ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა განპირობებულია გარემოებებით, რომლებიც სამეურნეო სუბიექტის კონტროლის ფარგლებს სცილდება. სხვა ალტერნატიული პროცედურების ჩატარებითაც შეუძლებელია მტკიცებულებების მოპოვება, რითაც შეიძლებოდა პროგრამის ბენეფიციარების საქმიანობის ნამდვილობის დადასტურება, რათა გამოგვეთქვა მოსაზრება, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღმოუჩენელი უზუსტობების შესაძლო გავლენა, თუ ასეთი არსებობს, შეიძლება იყოს არსებითი, მაგრამ არა ყოვლისმომცველი. შესაბამისად, ზემოაღწერილი აუდიტის მასშტაბის შეზღუდვის გამო, პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების მიზნობრიობას ვერ დავადასტურებთ.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად

2. სხვა გარემოებები

2.1 ბუღალტრული აღრიცხვის ნაკლოვანებები

სამინისტროს და მის კონტროლირებად ერთეულებს არ აქვთ ფორმალიზებული სააღრიცხვო პოლიტიკა. დარღვეულია ინსტრუქციის⁷ და მოქმედი სტანდარტების⁸ მომთხოვნები. ამის გამო, არ არის დაცული სტანდარტის⁹ მოთხოვნა: „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, ანალოგიური ოპერაციებისა და ერთსა და იმავე ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ“ და არ არის უზრუნველყოფილი დებულების¹⁰ მიხედვით ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისას მოთხოვნილი პრინციპების დაცვა.

სამინისტროს კონტროლირებად ერთეულებში, გარდა ცალკეული გამონაკლისისა, არ არის დანერგილი ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით (საბუღალტრო პროგრამები) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს მატერიალური ფორმით, რაც ზრდის შეცდომის დაშვების, ეკონომიკური მოვლენის გამოტოვების ან არასწორად აღრიცხვის რისკს. შესაბამისად, მაღალია ფინანსური ანგარიშგების არასწორად და არასრულად შედგენის და წარდგენის რისკი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვებულია შემდეგი სახის შეცდომები: სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „აფხაზეთსა“ და სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელაში – დარღვეულია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების დამუშავებასთან დაკავშირებული ინსტრუქციის¹¹ მოთხოვნები; სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრში ბუღალტრული დოკუმენტაციის (მემორიალური ორდერები და პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები) მონაცემები, ცალკეულ შემთხვევებში, შეუსაბამოა, ფინანსური ანგარიშგების მონაცემებთან. კერძოდ, მემორიალურ ორდერებში ბუღალტრული ანგარიშგების ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ხარჯვითი მუხლების ბრუნვის ნაშთებს.

სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ბალანსზე ირიცხება ბუღალტრული პროგრამა „ერთიგონი“, რომელშიც 2018 წლის ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ არის შეტანილი და დამუშავების პროცესი აუდიტის მიმდინარეობის დროსაც გრძელდებოდა.

ბუღალტრული აღრიცხვის ნაკლოვანებები გამოწვეულია სამინისტროს და მისი კონტროლირებადი ერთეულების ხელმძღვანელობების მხრიდან ფინანსურ აღრიცხვაში არაეფექტიანი/არასათანადო კონტროლის გამო.

⁷ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 8.

⁸ სსბას – 3 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, პუნქტი 9.

⁹ სსბას-6 „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ პ.49

¹⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პუნქტი 1, პუნქტი 4 და პუნქტი 7.

¹¹ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თავი II.

2.2 სახელმწიფო შესყიდვები

სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და შპს „სოლუმენ გრუპ“-ს შორის გაფორმებული 78.74 ათასი ლარის ღირებულების სავარძლების სახელმწიფო ელექტრონული¹² შესყიდვის ხელშეკრულების (სატენდერო დოკუმენტაციის) შესწავლით (ანალიზით) იკვეთება, სატენდერო კომისიისა და თეატრის ხელმძღვანელობის ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განსახორციელებელი ყველა პროცედურის (წინასწარი ბაზრის შესწავლა, ტექნიკური დავალების ჩამოყალიბება და სატენდეროს დოკუმენტაციის განსაზღვრა, სატენდერო კომისიის საქმიანობა და გაფორმებული ხელშეკრულების შესრულება) მიმართ არაკვალიფიციური მიდგომა, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის შესაძლო რისკების წარმოქმნასთანაა დაკავშირებული.

2.3 შტატგარეშე თანამშრომლების სტატუსის კრიტერიუმთან შეუსაბამობა

საანგარიშგებო პერიოდში სამინისტროს აპარატში 17 პირი დასაქმებული იყო სხვადასხვა შრომითი ხელშეკრულებით, მათ შორის, ხანგრძლივად, წლების მანძილზე მუდმივი სამუშაოს შესასრულებლად 2 ბუღალტერი.

მიუხედავდ იმისა, რომ სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთში“ მოცეკვავეები ასრულებენ მუდმივ სამუშაოს, მათთან გაფორმებულია 58 შრომითი ხელშეკრულება, შტატგარეშე თანამშრომლად აყვანის თაობაზე.

შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპიდან გამომდინარე, ბუღალტერი და ანსამბლის მოცეკვავეები არიან მუდმივი თანამშრომლები და, შესაბამისად, საშტატო განრიგით უნდა იყოს გათვალისწინებული, ხოლო მათზე დარიცხული ხელფასი ბალანსის დანართში – „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ აღირიცხოს „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლით.

ამასთანავე, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, კვლავ არ არის განსაზღვრული მომუშავეებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა, ხოლო წარმოდგენილი ანგარიშებით ვერ ხერხდება მათ მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგისა და აქედან მიღებული სარგებლის იდენტიფიცირება. შესაბამისად, არ არის წარმოქმნილი წინაპირობა საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არაეფექტიანი ხარჯვის რისკების შესამცირებლად. სას-ის მიერ წინა წლებში არაერთხელ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, აღნიშნული საკითხი კვლავ მოუწესრიგებელია.

2.4 კონტროლის სისუსტე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (მხარჯავი დაწესებულება რესპუბლიკური ბიუჯეტის ორგანიზაციული ჭრილის პროგრამული კოდი: 06 00) 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის, მისი ფორმირების, დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების, კვარტალური და ხარჯების მუხლების ჭრილში ბიუჯეტის განწერის, აგრეთვე წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების პროცესი ხორციელდებოდა მხოლოდ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატის (პროგრამული კოდი: 06 01) და მის განკარგვაში არსებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე. სამინისტროს

¹² SPA180008571

კონტროლის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენენ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ინდივიდუალურად ახორციელებდნენ ზემოაღნიშნულ პროცესებს თავიანთი განსაკარგავი საბიუჯეტო პროგრამების კრილში. შესაბამისად, სამინისტროს კონტროლის სფეროში ფაქტობრივად არ იყო მოქცეული კონტროლირებადი ერთეულების ბიუჯეტის ფორმირების, დამტკიცების, განწერის, წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პროცესები.

2018 წელს სამინისტროს სარგებლობაში არსებული ორი სამორიგეო მანქანის მიუხედავად, ჟურნალში ხორციელდება მხოლოდ ერთი ავტომანქანის (სახელმწიფო ნომერი: BDB-896) მოძრაობის აღრიცხვა, რომლის 2018 წლის საწვავის ჩასხმების პერიოდში ავტომანქანის მოძრაობის 89% შემთხვევაში, ავტომანქანის გაყვანის მიზნობრიობისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები აღნიშნულ ჟურნალში არ ფიქსირდება.

ზემო აფხაზეთის რესურსცენტრში „საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონში წარმოდგენილი თანამდებობრივ-საკვალიფიკაციო სარგოების შეუსაბამოდ, სამი თანამშრომლისათვის ნაცვლად, 0.6 კოეფიციენტისა, არასწორად იყო მინიჭებული თანამდებობრივი სარგო 0.65 კოეფიციენტის ოდენობით.

ადმინისტრაციის თანამშრომლებზე არ წარმოებდა სამსახურში მოსვლა-წასვლის აღრიცხვის ჟურნალი (ზემო აფხაზეთის რესურსცენტრი და სსიპ – აფხაზეთის სიძღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“) და სამუშაო დროის გაანგარიშების ყოველთვიური აღრიცხვის ტაბელი (ზემო აფხაზეთის რესურსცენტრი).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატის მიერ შემოსავლების სამსახურში წარდგენილ განაცემთა ინფორმაციაში (68 პიროვნებაზე) თანამშრომელთა პირადი ნომრები შეცდომით იყო მითითებული.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის პროგრამული კოდით (06 08 01) სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული „სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის ქვეპროგრამის“ ბენეფიციარები შეირჩა თითოეულ შემოსულ განაცხადთან დაკავშირებით ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული მოკვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ოქმები მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მიუთითებს სამინისტროს და მისი კონტროლირებადი ერთეულების ხელმძღვანელობების მხრიდან კონტროლის სისუსტესა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით¹³ განსაზღვრული მოთხოვნების არასრულად შესრულებაზე.

¹³ აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის და მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

2.5 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით გატარდა რიგი ღონისძიებები და შესრულდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი. კერძოდ:

შესრულებული რეკომენდაციები

- 1) ბუღალტრული კორექტირებების შედეგად უზრუნველყოფილია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართ ფორმებში N2-ში, N3-სა და N5-ში) განხორციელებული გრანტის სათანადოდ აღრიცხვა და დებიტორული დავალიანებების შესახებ ზუსტი ინფორმაციის წარდგენა.
- 2) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების და ხელშეკრულების შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელებულია შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილ ვადებში.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ არ იყო შესრულებული რიგი რეკომენდაციებისა და არ გამოსწორებულა ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც გამოვლინდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტისას.¹⁴ კერძოდ:

შეუსრულებელი რეკომენდაციები

- 1) კვლავ დაშვებულია შეცდომები გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების და მატერიალური მარაგების გასვლის (ხარჯვის) ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა N2ში, N3-ში და N5-ში) ასახვისას.
- 2) ბუღალტრული კორექტირებების შედეგად არაა უზრუნველყოფილი ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართ ფორმებში N2-ში, N3-სა და N5-ში) განხორციელებული გრანტის სათანადოდ აღრიცხვა და დებიტორული დავალიანებების შესახებ ზუსტი ინფორმაციის წარდგენა.

¹⁴ სას-ის 2018 წლის 27 თებერვლის 2017 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (პროგრამული კოდი: 06 00) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N22/36.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩათვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ

ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ნოდარ გაბედავა

წამყვანი აუდიტორი

ეთერ კაცაძე

აუდიტორი


ნინო ბრეგვაძე

აუდიტორ-ასისტენტი

საბა გაწერელია

აუდიტორ-სტაჟიორი

ხელმოწერა



ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	1	1
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120	0	0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211	0	0
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212	0	0
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220	0	0
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	13719	5435
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240	0	0
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250	0	0
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	0	0
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	0	0
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	0	0
120	გადასახადების სახაზინო ანგარიში	1291	0	0
130	სხვადასხვა ანგარიშები ხაზინაში	1292	524	2205
140	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310	0	0
150	მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხები	1321	0	0
160	მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1322	0	0
170	აქციები და სხვა კაპიტალი	1330	0	0
180	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340	0	0
190	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351	0	0
200	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352	0	0
210	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353	0	0
220	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	0	0
230	მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	2008	6015
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	1356	0	0
250	საშემოსავლო გადასახადი	1361	0	0
260	მოგების გადასახადი	1362	0	0
270	ქონების გადასახადი	1363	0	0
280	დამატებული ღირებულების გადასახადი	1364	0	0
290	აქციზის გადასახადი	1365	0	0
300	იმპორტის გადასახადი	1366	0	0
310	სხვა გადასახადები	1367	0	0
320	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1370	0	0
330	მოთხოვნები ბარტერით	1410	0	0
340	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420	0	0
350	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	0	81259
360	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	0	15650
370	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	11041	11041

380	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	1451	0	0
390	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით	1452	0	0
400	მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით	1453	0	0
410	ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1454	0	0
420	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1461	0	0
430	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462	0	0
440	მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1463	0	0
450	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	0	0
460	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1481	0	0
470	მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1482	0	0
480	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1483	0	0
490	გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები	1511	0	0
500	გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1512	0	0
510	აქციები და სხვა კაპიტალი	1520	0	0
520	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530	0	0
530	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540	0	0

II. არაფინანსური აქტივები

540	სტრატეგიული მარაგები	1610	0	0
550	ნედლეული და მასალები	1621	0	0
560	დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება	1622	0	0
570	მზა პროდუქცია	1623	0	0
580	შემდგომი რეალიზაციისთვის შეძენილი საქონელი	1624	0	0
590	ფულადი დოკუმენტები	1625	0	0
600	სათადარიგო ნაწილები	1626	0	0
610	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627	55	38265
620	საცხოვრებელი შენობები	2111	0	0
630	არასაცხოვრებელი შენობები	2112	1095152	2124004
640	საგზაო მაგისტრალები	2113	0	0
650	ქუჩები	2114	0	0
660	გზები	2115	0	0
670	ხიდები	2116	0	0
680	გვირაბები	2117	0	0
690	გაყვანილობის სისტემები	2118	0	0
700	სხვა ნაგებობები	2119	0	5847
710	სატრანსპორტო საშუალებები	2121	2395	32919
720	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	73443	115673
730	კულტივირებული აქტივები	2131	0	0
740	არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	19260	23734
750	სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	2140	0	27227
760	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141	0	0
770	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142	0	0
780	ტექნიკა	2210	0	0
790	ინვენტარი	2220	0	0
800	მოწყობილობა	2230	0	0

810	სხვა მცირეფასიანი აქტივები	2240	0	0
820	ძვირფასი ქვები და ლითონები	2310	0	0
830	ხელოვნების ნიმუშები	2320	4400	4400
840	სხვა ფასეულობები	2340	2179	2179
850	მიწა	2410	0	0
860	წიაღისეული	2420	0	0
870	სხვა ბუნებრივი აქტივები	2430	0	0
880	არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	2440	0	0
890	ბალანსი		1224177	2495856

კოდი ვალდებულებები და კაპიტალი		ანგარიშის ნომერი		
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები			0	0
890	ვალდებულებები დეპოზიტებით	3110	0	0
900	ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით, გარდა აქციებისა	3120	0	0
910	მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3131	0	0
920	მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3132	0	0
930	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	3140	0	0
940	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3150	0	0
950	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	6979	2013
960	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	0	0
970	ვალდებულებები ბარტერით	3230	0	0
980	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	0	372
990	გადასახდელი დღგ	3242	0	0
1000	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243	0	0
1010	სხვა გადასახდელები	3244	0	0
1020	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით	3245	0	0
1030	გადასახდელი ქონების გადასახადი	3246	0	201
1040	გადასახდელი აქციზი	3247	0	0
1050	გადასახდელი იმპორტის გადასახადი	3248	0	0
1060	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	0	0
1070	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252	0	0
1080	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	0	0
1090	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254	0	0
1100	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255	0	0
1110	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256	0	0
1120	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257	0	0
1130	გადასახდელი სტიპენდიები	3258	0	0
1140	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259	0	0
1150	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	646	646
1160	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270	0	0
1170	წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა	3281	0	0
1180	წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები	3282	0	0
1190	დარიცხული გადასახდელი რენტა	3283	0	0
1200	დარიცხული გადასახდელი პროცენტები	3284	0	0

1210	გადასახდელი დივიდენდები	3285	0	0
1220	სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286	0	0
1230	გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3311	0	0
1240	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3312	9000	9000
1250	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320	0	0
1260	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331	0	0
1270	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332	0	0
1280	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333	0	0
II კაპიტალი			0	0
1290	წმინდა ღირებულება	5100	1200248	2478470
1300	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210	-8411	-5843
1310	გაუნაწილებელი მოგება	5220	15716	10996
1320	დაუფარავი ზარალი*	5230	0	0
1330	ბალანსი		1224177	2495856
III. საცნობარო მუხლები				
1340	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01	0	0
1350	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	1944	1827
1360	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	0	0
1370	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	4874	3311
1380	პირობითი აქტივები	05	0	4751
1390	პირობითი ვალდებულებები	06	0	12997
1400	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	0	0
1410	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	363412	193090
1420	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	0	0
1430	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	224982	282757
1440	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	0	0
1450	საბანკო გარანტიები	12	34192	0

საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	ნოდარ გაბედავა - ngabedava@sao.ge ეთერ კაცაძე - ekatsadze@sao.ge ნინო ბრეგვაძე - nbregvadze@sao.ge საბა გაწერელია - sgatserelia@sao.ge
საავტორო უფლებები	ანგარიშში მოცემული მასალების უფლებები დაცულია. აუდიტის ანგარიში წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საკუთრებას და მთლიანი ანგარიშის ან მისი გარკვეული ნაწილების კოპირება/გავრცელება ნებართვის გარეშე შეიძლება იყოს შესაბამისი კანონის დარღვევა. ავტორი ნამუშევრის შინაარსთან დაკავშირებით არ იძლევა 100 %-იანი სისწორის, სანდოობის ან სისრულის გარანტიას, ასევე, არ იღებს პასუხისმგებლობას ბეჭდვითი და ტექნიკური შეცდომების შესახებ.
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://sao.ge/ https://budgetmonitor.ge/ka http://blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38